



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
	ისტორია
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
	History
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
	აკადემიური
სწავლების ენა	
	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	
ქართულად:	ისტორიის ბაკალავრი 0222
ინგლისურად:	Bachelor of History 0222
პროგრამის დამტკიცების და განახლების თარიღი	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2011 წლის 28 ივნისის N01/05-130 ბრძანებით; განახლებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის: 2012 წლის 31 აგვისტოს N 01/01-22 ბრძანებით; 2013 წლის 27 აპრილის N 01/01-13 ბრძანებით; 2013 წლის 18 სექტემბრის N07/01-02 ბრძანებით; 2014 წლის 31 მაისის N01/01-68 ბრძანებით; 2016 წლის 3 სექტემბრის N01/01-34, ბრძანებით; 2017 წლის 17 თებერვლის N01/01-03 ბრძანებით; 2017 წლის 3 მაისის #01/01-15 ბრძანებით; 2017 წლის 2 ოქტომბრის #01/01-32 ბრძანებით; 2020 წლის 21 აპრილის N01/01-29 ბრძანებით; 2022 წლის 4 აპრილის N01/01-10 ბრძანებით; 2022 წლის 12 ოქტომბრის N01/01-61 ბრძანებით
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი, ისტორიის დოქტორი დავით თინიკაშვილი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის	

საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათებს).

ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. აქედან:

- 65 ECTS კრედიტი ეთმობა თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებს. თავისუფალი კომპონენტი თავის მხრივ მოიცავს შემდეგ მოდულებს:
 - ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსები - 15 ECTS კრედიტი;
 - ზოგადი ინგლისური და დარგობრივი ენა - 30 ECTS კრედიტი;
 - მეორე უცხო ენა - 20 ECTS კრედიტი.
- 115 ECTS კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს. მათ შორის 10 ECTS კრედიტი ეთმობა საბაკალავრო ნაშრომს;
- 60 ECTS კრედიტი სტუდენტმა უნდა დააგროვოს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსების სახით, საიდანაც არაუმეტეს 20 ECTS კრედიტი შეიძლება დაეთმოს თავისუფალ კომპონენტს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<p align="center">პროგრამის მიზანი</p>	<p>მიზანი 1. მოამზადოს ისტორიის სპეციალისტები, რომლებიც ეზიარებიან დარგის თანამედროვე ეროვნულ და საერთაშორისო მიღწევებს პოლიტიკის, კულტურის, რელიგიისა და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის მიმართულებით, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს მასშტაბით (კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, რუსეთი, ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები).</p> <p>მიზანი 2. ათვისებული კვლევითი ინსტრუმენტების გამოყენებითა და აკადემიური ეთიკის საფუძველზე დაწეროს თანამედროვე სტანდარტების ნაშრომები; გაუადვილდეს წარსულის გამოცდილებების საფუძველზე აწმყოში შესაბამისი ორიენტირება და თანამედროვეობის შეცნობა სათანადო დამხმარე დისციპლინების გამოყენებით.</p> <p>მიზანი 3. განუვითარდეს ისტორიული წყაროების მოძიების და ანალიზის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის უნარები, პროფესიული პასუხისმგებლობა და აკადემიური კეთილსინდისიერების გრძნობა.</p>
<p align="center">პროგრამის სწავლის შედეგი</p>	<p>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს.</p> <p align="center">ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>შედეგი 1. აღწერს ძირითად თეორიებს, პრინციპებს და მიდგომებს ისტორიული კვლევის სფეროში; წარსულის ისტორიული სურათის აღდგენისას განსაზღვრავს და იყენებს ისტორიის დამხმარე დისციპლინებს.</p> <p>ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მსჯელობს, განარჩევს, განიხილავს და განავრცობს ისტორიოგრაფიული კვლევისთვის საჭირო აუცილებელ ინსტრუმენტებს, ავლენს ტექსტის კვლევის აუცილებელ საბაზისო ცოდნას; • აღწერს და განაზოგადებს ისტორიის მეცნიერების დამხმარე დისციპლინებს, მსჯელობს და წერილობით გადმოსცემს ძირითად სამეცნიერო საკითხებს და მისი განვითარების საკვანძო ეტაპებს; • განასხვავებს ისტორიის სფეროს არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ პერსპექტივებს; • ავლენს ისტორიის ცალკეული მიმართულებების სისტემურ ცოდნას, კერძოდ, წყაროთმცოდნეობის (ნარატიული ზეპირი და წერილობით წყაროები), პალეოგრაფიის, ნუმისმატიკის, დიპლომატიკის, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, რელიგიებისა და ხელოვნების ისტორიის, მეცნიერების ისტორიის, ისტორიის ფილოსოფიის, ქალთა ისტორიის, კონფლიქტების ისტორიის, რეგიონთმცოდნეობის, ცალკეული ქვეყნების ისტორიის, საზოგადოებრივი გეოგრაფიისა და ტურისტული რესურსების ისტორიისა; აჯამებენ და იყენებენ აღნიშნული მიმართულების კვლევის შედეგებს. • აღწერს ციფრული ჰუმანიტარიის კვლევის ინსტრუმენტებს; • გამოკვეთს და ასახელებს თანამედროვე საისტორიო კვლევების ტენდენციებსა და თავისებურებს. <p>შედეგი 2. განსაზღვრავს და განმარტავს თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის და ქვეყნების (ახლო აღმოსავლეთი, რუსეთი, ევროპა, ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, ირანი, სომხეთი და აზერბაიჯანი) ისტორიული განვითარების ეტაპებსა და თავისებურებებს. ადარებს სხვადასხვა ქვეყნების, ეპოქების, ხალხების, კულტურებისა და საყოფაცხოვრებო წესების განვითარების ისტორიებს და საკუთარი ქვეყნის ისტორიას განიხილავს მსოფლიო ისტორიის კონტექსტში.</p> <p>ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> • განიხილავს თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი რეგიონებისა და ქვეყნების ისტორიის განვითარების მთავარ ტენდენციებსა და

თავისებურებს;

- მსჯელობს ქართული ისტორიოგრაფიის ძირითად სამეცნიერო საკითხებზე, განავრცობს და აჯამებს საქართველოსა და მსოფლიოს ქვეყნების ისტორიას და მათი განვითარების საკვანძო ეტაპებს;
- აღწერს და განაზოგადებს საქართველოს ისტორიის მიმართებას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან, როგორც ისტორიული წარსულის მიხედვით, ისე თანამედროვე კონტექსტში;
- აღწერს საქართველოს ისტორიისა და მისი განვითარების საკვანძო ეტაპებს.

უნარი

შედეგი 3. არჩევს და იყენებს სხვადასხვა სახის ისტორიულ წყაროს, ახარისხებს და აკავშირებს მათ ერთმანეთთან, რის შედეგადაც შეისწავლის და წარმოადგენს მაქსიმალურად სანდო და ობიექტურ ისტორიულ სურათს; აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და წინასწარ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად წერს შესაბამის ნაშრომებს (რეფერატები, საბაკალავრო ნაშრომი).

ინდიკატორები:

- კითხულობს და აანალიზებს საისტორიო წყაროებს, ქმნის გამართული ფორმის, ლოგიკურად დასაბუთებულ, აკადემიური სტანდარტის შესაბამის სხვადასხვა ფორმატის ნაშრომს;
- იყენებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებს;
- განასხვავებს ინფორმაციის გამოყენების ეთიკურ და არაეთიკურ საშუალებებს;
- ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების ანალიზისას არგუმენტირებულად და კრიტიკულად აფასებს და აფიქსირებს საკუთარ თვალსაზრისს ისტორიული მონაცემების კვლევის აუცილებელი, საბაზისო ცოდნის საფუძველზე;

შედეგი 4. გამოკვეთს და აანალიზებს პრობლემას, აყალიბებს შესაბამის დასკვნას; გადმოსცემს საკუთარ შეხედულებებს ზეპირი და წერილობითი ფორმით მონოლოგის სახით თუ დებატებში, ქართულ და უცხოურ ენებზე.

ინდიკატორები:

- გამოყოფს ისტორიოგრაფიული კვლევის ძირითად ეტაპებს, მათ შორის, ჰიპოთეზის ფორმულირების, შემოწმების, ანალიტიკური დამუშავებისა და შეზღუდვების გათვალისწინების საფეხურებს;
- ანალიზის საფუძველზე, გამოყოფს და გადაამუშავებს ამოცანების ან პრობლემების გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას;
- არგუმენტირებულად იზიარებს ან არ იზიარებს საისტორიო კრიტიკას და იყენებს კვლევით მეთოდებს შესაბამისი დანიშნულებით;
- იყენებს კვლევისათვის აუცილებელი მსჯელობისა და სიღრმისეული ანალიზის სტრატეგიებს;
- ახდენს საკვლევი საკითხების სათანადოდ ფორმულირებას, კვლევის შესაბამისი მეთოდების შერჩევას, ასევე შესაბამისი ლიტერატურის მოძიებასა და შეჯამებას.
- აყალიბებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ, დასაბუთებულ დასკვნებს;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

შედეგი 5. პატივს სცემს სხვადასხვა მსოფლმხედველობრივ და კულტურულ ღირებულებებს, იჩენს ტოლერანტურობას განსხვავებული მორალური ნორმებისა და წეს-ჩვეულებების მიმართ.

ინდიკატორები:

- შემწყნარებლობის პრინციპებზე დაყრდნობით აანალიზებს მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს;
- პატივ სცემს განსხვავებულ კულტურათა ღირებულებებსა და წეს-

	<p>ჩვეულებებს;</p> <ul style="list-style-type: none"> • განსაზღვრავს და კრიტიკულად აფასებს საისტორიო წყაროებში ეთიკურ, ისტორიულ-იდეოლოგიურ საკითხებს; • ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პროცესში მოქმედებს საკუთარი და სხვების განვითარების მიზნით, თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით. <p>შედეგი 6. ისტორიის სფეროში კვლევისას ითვალისწინებს და ეყრდნობა აკადემიური ეთიკის კოდექსს.</p> <p>ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქმნის აკადემიური სტანდარტის, შესაბამისი ფორმატის, ლოგიკურად დასაბუთებულ, არგუმენტირებულ ნაშრომს; • განსაზღვრავს და იყენებს ძირითად ეთიკურ პრინციპებს, როგორცაა ობიექტურობა, შემწყნარებლობა, სხვათა უფლებების დაცვა და პროფესიული კეთილსინდისიერება; • ითვალისწინებს აკადემიური ეთიკის სტანდარტებს კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონაცემების გაზიარების პროცესში; • მსჯელობას წარმართავს აკადემიურ ჩარჩოებში, აზრს აყალიბებს აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით.
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>ისტორიის პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროებია: სასწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, უცხოური კერძო სექტორი, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორი, მედია, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საკონსულტაციო ცენტრები, მუზეუმები და არქივები.</p> <p>შენიშვნა: ისტორიის ბაკალავრისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებლის პროფესიაში შესასვლელად აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულება.</p>
<p>სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა</p>	<p>ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამით, კანონით დადგენილი წესისამებრ.</p>

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

<p>სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ახსნა-განმარტებითი მეთოდი; • წიგნზე მუშაობის მეთოდი; • გონებრივი იერიში; • წერითი მუშაობის მეთოდი; • დემონსტრირების მეთოდი; • დისკუსია/დებატების მეთოდი; • ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი; • შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი; • დედუქცია-ინდუქცია; • ევრისტიკული მეთოდი; • გუნდური მუშაობა; • სასწავლო ექსკურსიები; • დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდი და სხვა.
--

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

**ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულების, საგნების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)**

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I				II					
				ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
			თავისუფალი კომპონენტი (სავალდებულო)										
			მოდული - ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	15									15
1.	ACWR 0007	არ გააჩნია	აკადემიური წერა	5									5
2.	CSC 1160	არ გააჩნია	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5									5
3.	PHIL 0005	არ გააჩნია	ფილოსოფია	5									5
			მოდული - ზოგადი ინგლისური და დარგობრივი ენა	5	5	5	5	5	5				30
4.	ENGL 0005/ ENGL 0007	არ გააჩნია	B1.0 ზოგადი ინგლისური/ B2.0 ზოგადი ინგლისური	5									5
5.	ENGL 0006/ ENGL 0008	ENGL 0005/ ENGL 0007	B1 ზოგადი ინგლისური/ B2 ზოგადი ინგლისური		5								5
6.	ENGL 0007/ ENGL 0009	ENGL 0006/ ENGL 0008	B2.0 ზოგადი ინგლისური/ C 1.0 ზოგადი ინგლისური			5							5
7.	ENGL 0008/ ENGL 0010	ENGL 0007/ ENGL 0009	B2 ზოგადი ინგლისური/ C 1 ზოგადი ინგლისური				5						5
8.	ENGH 0160	ENGL 0007-0008/ ENGL 0009-0010	PT 1 პროფესიული სამიზნე ენა (კუმანიტარული მეცნიერებები)					5					5

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი		
				I		II		III		IV				
				ECTS კრედიტი										
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი			
9.	ENGH 0260	ENGH 0160	PT 2 პროფესიული სამიზნე ენა (კუმანიტარული მეცნიერებები)							5				5
			მოდული - მეორე უცხო ენა			5	5	5	5					20
10.	FREN/GERM 0001/ESP 0001/ITA 0001	არ გააჩნია	მეორე უცხო ენა A1.0			5								5
11.	FREN/GERM 0002/ESP 0002/ITA 0002	FREN/GERM 0001/ESP 0001	მეორე უცხო ენა A1				5							5
12.	FREN/GERM 0003/ESP 0003/ITA 0003	FREN/GERM 0002/ESP 0002/	მეორე უცხო ენა A2.0					5						5
13.	FREN/GERM 0004/ESP 0004/ITA 0004	FREN/GERM 0003/ESP 0003	მეორე უცხო ენა A2						5					5
			ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი (სავალდებულო)	10	15	15	15	10	15	15	20			115
14.	HIST 1161	არ გააჩნია	შესავალი ისტორიის მეცნიერებაში	5										5
15.	HIST 1160	არ გააჩნია	საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 საუკუნემდე	5										5
16.	HIST 1262	არ გააჩნია	ქართული ისტორიული აზრისა და საისტორიო სკოლის ფორმირება		5									5
17.	HIST 1260	HIST 1160	საქართველოს ისტორია მე-13 საუკუნიდან 1801		5									5

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
			წლამდე										
18.	HIST 1263	არ გააჩნია	ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები		5								5
19.	GSST 3260	არ გააჩნია	საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა			5							5
20.	HIST 2162	არ გააჩნია	ანტიკური ქვეყნების ისტორია			5							5
21.	HIST 2163	HIST 1260	საქართველოს ისტორია 1801 წლიდან XX საუკუნის ბოლომდე			5							5
22.	HCAU 2260	HIST 2163	კავკასიის ხალხთა ისტორია				5						5
23.	HIST 2262	არ გააჩნია	რუსეთის ისტორია				5						5
24.	HIST 2261	არ გააჩნია	ძველი აღმოსავლეთის ისტორია				5						5
25.	HIST 3161	არ გააჩნია	თურქეთის ისტორია					5					5
26.	HIST 3162	არ გააჩნია	ირანის ისტორია					5					5
27.	HIST 3260	არ გააჩნია	სომხეთის ისტორია						5				5
28.	HIST 3260	HIST 2261	ბიზანტიის ისტორია						5				5
29.	NEH 3260	HIST 2261	მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია						5				5
30.	HIST 4162	არ გააჩნია	აზერბაიჯანის ისტორია							5			5
31.	HIST 4163	არ გააჩნია	ათეიზმისა და ქრისტიანობის ურთიერთობის ისტორია							5			5
32.	EMA 4160	HIST 2162	ევროპა შუა საუკუნეებში							5			5
33.	HIST 4260	EMA 4160	აშშ-ის ისტორია									5	5
34.	HIST 4261	EMA 4160	ევროპის ახალი და უახლესი ისტორია									5	5

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
35.	THES 4260	ACWR 0007 CSC 1160 HIST 1161	საბაკალავრო ნაშრომი									10	10
					10	5	5	10	5	15	10		60
			თავისუფალი კომპონენტი (არჩევითი)										
36.	DCT 1260	არ გააჩნია	კრიტიკული აზროვნების აღმოჩენა		5								5
37.	GEOP 0008	არ გააჩნია	მსოფლიოს საზოგადოებრივი გეოგრაფია			5							5
38.	PSYC 0006	არ გააჩნია	შესავალი ფსიქოლოგიაში			5							5
39.	ISOC 2260	არ გააჩნია	შესავალი სოციოლოგიაში				5						5
40.	TRG 3160	HIST 2163	საქართველოს ტურისტული რესურსები					5					5
41.	FREE 0001	არ გააჩნია	თავისუფალი კრედიტი 1						5				5
42.	FREE 0002	არ გააჩნია	თავისუფალი კრედიტი 2							5			5
43.	FREE 0003	არ გააჩნია	თავისუფალი კრედიტი 3								5		5
			ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი (არჩევითი)										
			მოდული - მსოფლიო ისტორია										
44.	ETN 1261	არ გააჩნია	ზოგადი ეთნოლოგია		5								5
45.	HIST 0001	არ გააჩნია	მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია		5								5
46.	HIST 2164	არ გააჩნია	ანტიკური ხელოვნების ისტორია			5							5
47.	WREL 2160	HIST 0001	მსოფლიო რელიგიების ისტორია			5							5
48.	WAH 2260	HIST 0001	მსოფლიო ხელოვნების ისტორია				5						5

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
49.	NUM 2260	არ გააჩნია	ნუმიზმატიკა, ბონისტიკა				5						5
50.	ECEW 3160	WREL 2160	მსოფლიო კრებები აღმოსავლურ და დასავლურ საქრისტიანოში					5					5
51.	MST 3162	არ გააჩნია	მუზეუმთმცოდნეობა					5					5
52.	RHN 3261	არ გააჩნია	სამეცნიერო კვლევა ისტორიის/ნუმიზმატიკის დარგში						5				5
53.	HCW 4160	HID 3260	ცივი ომის ისტორია								5		5
54.	HEE 4161	არ გააჩნია	აღმოსავლეთ ვეროპის ისტორია								5		5
55.	HIST 4165	PHIL 0005	ისტორიის ფილოსოფია									5	5
56.	RCMW 4260	NEH 3260 HID 3260	რეგიონალური კონფლიქტები თანამედროვე მსოფლიოში									5	5
			მოდული - საქართველოს ისტორია										
57.	GLS 1160	არ გააჩნია	ქართული დამწერლობათმცოდნეობა		5								5
58.	GAH 1260	არ გააჩნია	ქართული ხელოვნების ისტორია		5								5
59.	HIST 2167	არ გააჩნია	ქართული ისტორიოგრაფია			5							5
60.	WMG 2160	HIST 1260	ქალები შუა საუკუნეების საქართველოში			5							5
61.	GARC 2260	HIST 2163	საქართველოს არქეოლოგია				5						5
62.	HIST 2263	HIST 1260	საქართველო 1918-1921 წლებში				5						5
63.	HOC 2160	HIST 2163	საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის				5						5

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
			ისტორია										
64.	MPH 3160	არ გააჩნია	ფული და ადამიანი საქართველოს ისტორიაში: სამი ათასწლოვანი ისტორია					5					5
65.	EPG 3160	HIST 1260	საქართველოს ევროპული პოლიტიკა XV-XVIII საუკუნეებში					5					5
66.	DHG 3260	HIST 2163	საქართველოს დემოგრაფიული ისტორია						5				5
67.	ESHG 3260	HIST 2163	საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორია						5				5
68.	HIST 4161	HIST 2163	საქართველოს ისტორია ეროვნული მოძრაობიდან 2016 წლამდე								5		5
69.	KTS 4160	GSST 3260 HIST 1262	„ქართლის ცხოვრება“ – აზროვნების განსხვავებული ტიპი								5		5
70.	LPH 4160	HIST 2163	ლეგიტიმაციის პრობლემები საქართველოს უახლეს ისტორიაში 1988-2012 წწ.									5	5
საგნების მოდულების რაოდენობა წელიწადში			სემესტრში	30	30	30	30	30	30	30	30	30	240
			წელიწადში	60	60	60	60	60	60	60	240		

